

თეა ბურჭულაძე

ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა რთულ სიტყვათა მართებულად დაწერის საკითხი მსჯელობისა და განხილვის საგანი. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებას აჩვენებს კომპოზიტთა აგებულება – ფუძეგაორკეცებულია ის, ერთცნებიანი თუ ორცნებიანი. მათი მართლწერაც სწორედ სიტყვის ცნების განსაზღვრისა თუ აგებულების მიხედვით მუშავდება.

დადგენილი ნორმის მიხედვით, „დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი კომპოზიტები“. ესაა კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით [ნორმები 1970: 156]. მიჩნეულია, რომ ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორცნებიანი – დეფისით [იქვე: 154-155]. ორცნებიანი კომპოზიტების შემადგენელი ფუძეები იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რომელიც მათ ცალკე აღებულს ჰქონდათ. რთული ფუძე მხოლოდ მექანიკურად აერთიანებს და ერთად უყრის თავს ამ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევებში შემადგენელი ფუძეების და კავშირით ან სხვა მართებელი კავშირით გაერთიანებაა შესაძლებელი, ანუ რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს: და-ძმა (= და და ძმა); ცოლ-ქმარი (= ცოლი და ქმარი), დედ-მამა (= დედა და მამა), ფარ-ხმალი (= ფარი და ხმალი)...

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა ჩვენში. შესაბამისად, საჭირო ხდება მათი მართებულად დაწერილობის საკითხის განსაზღვრა. საქმე ეხება ისეთ კომპოზიტებს, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილად გარკვეული სტატუსისა თუ სახელწოდების აღმნიშვნელი სიტყვები გვხვდება: **პრემიერ-მინისტრი, პრემიერ-ლიგა, ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-პრემიერი, ვიცე-კაპიტანი, ვებ-გვერდი, ვებ-საიტი, ინტერნეტ-ჟურნალი, ინტერნეტ-გამოცემა, ექს-პრეზიდენტი, ექს-მინისტრი...**

მასმედიაში დასახელებული ტიპის რთული სიტყვების დეფისიანი დაწერილობაც (ვებ-გვერდი, ექს-პრეზიდენტი...) გვხვდება და

ერთად დაწერილი ვარიანტებიც (ვებგვერდი, ექსპრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი). მოყვანილი მაგალითების ფუძეები არ არის ერთნაირად დამოუკიდებელი შინაარსისა. საკითხიც ასე დაისმის – ორცნებიანია ეს კომპოზიციები თუ ერთცნებიანი? გასარკვევია, დასახელებულ შემთხვევებში პირველ შემადგენელ ფუძეებს აქვთ თუ არა სრული დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი, ფაქტობრივ, ცალკე აღებული არც კი გამოიყენება (თუ არ ჩავთვლით **პრემიერს** და **ინტერნეტს**).

ცხადია, **პრემიერ-მინისტრი**, **პრემიერ-ლიგა**, **პრემიერ-კლასი** სიტყვებში პირველ შემადგენელ ფუძეებს არ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ასევე, შეუძლებელია შემადგენელი ფუძეების და კავშირით გაერთიანება – პრემიერი და მინისტრი; პრემიერი და ლიგა; ვიცე და პრეზიდენტი; ვიცე და მერი; ვიცე და კაპიტანი... ასეთ შემთხვევებში და კავშირის ჩასმა კომპოზიციის შინაარსს არღვევს. ამიტომ ამ ნიშნის მიხედვით ისინი ერთცნებიანი კომპოზიციები არიან და, შესაბამისად, ერთად უნდა დაწერილიყო, როგორც ეს ყველა ერთცნებიანი კომპოზიციის დაწერილობის ნორმადაა მიღებული. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები იმთავითვე დამკვიდრდა დეფისიანი დაწერილობით. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ისაა, რომ ამ კომპოზიციებში პირველი შემადგენელი სიტყვაა **გარკვეული სოციალური სტატუსის ან სახელწოდებების აღმნიშვნელია**. ამიტომ, ვფიქრობთ, მიუხედავად მათი ერთცნებიანობისა, დეფისით უნდა დაიწეროს მხოლოდ **პრემიერ-** სიტყვით შედგენილი რთული სიტყვები: **პრემიერ-მინისტრი**, **პრემიერ-ლიგა**, **პრემიერ-კლასი**.

მსგავსი მიდგომაა ორმაგი სახელწოდებების მქონე სიტყვათა დაწერილობაშიც, რომლებიც დეფისით იწერება: **წევრ-კორესპონდენტი**, **აკადემიკოს-მდივანი**, **ექიმ-კონსულტანტი**, **მეცნიერ-თანამშრომელი**, **სახლ-მუზეუმი** და სხვ. [არაბული 2004: 130]. ამ კომპოზიციების პირველ შემადგენელ ნაწილებს ასევე არ გააჩნიათ სრული დამოუკიდებლობა (წევრი და კორესპონდენტი; აკადემიკოსი და მდივანი; მეცნიერი და თანამშრომელი; სახლი და მუზეუმი), ისინი მთლიანობაში გამოხატავენ ერთ შინაარსს, მაგრამ სწორედ **სახელწოდებებისა თუ სტატუსის შინაარსის გამო დეფისით იწერება, ერთმანეთისგან იმიჯნება**. ასეთივეა ისეთი რთული სიტყვები, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილად **ექსპერტ-** სიტყვა გვევლინება: **ექსპერტ-ლინგვისტი**, **ექსპერტ-კრიმინალისტი**, **ექსპერტ-კონ-**

სულტანტი, ექსპერტ-აუდიტორი, ექსპერტ-კინოლოგი, ექსპერტ-კონსულტანტი, ექსპერტ-შემფასებელი, ექსპერტ-ენციკლოპედისტი, ექსპერტ-ადმინისტრატორი, ექსპერტ-ინჟინერი, ექსპერტ-ბუღალტერი ... ამგვარადვე დაიწერება დეფისით ამ ტიპის შემდეგი რთული სიტყვები: პატრულ-ინსპექტორი, მეან-გინეკოლოგი, გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ადიუტანტი, მოლარე-ოპერატორი. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი რთული სიტყვები მედიაში მხოლოდ დეფისით გვხვდება.

ბოლო წლებში გამოცემულ ლექსიკონებში მითითებულია, რომ **ვიცე** სიტყვის პირველი ნაწილია და სხვა ფუძესთან ერთად დეფისით იწერება [ქურნალისტის ცნობარი 2002: 69; მოსწავლის ორთ.-სტილ. ლექს. 2011]. როგორც ცნობილია, **ვიცე** აღნიშნავს მოადგილეს, შემცვლელს. ის დღეს ხშირად გამოიყენება რთული სიტყვების ნაწილად და სიტყვაში არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არც გარკვეულ სახელწოდებას არ გამოხატავს. ამიტომ ვფიქრობთ, ის შემადგენელ სიტყვასთან ერთად უნდა დაიწეროს: **ვიცე-პრემიერი, ვიცეპრეზიდენტი, ვიცეკაპიტანი, ვიცეთაგმჯდომარე, ვიცემერი, ვიცეკანცლერი, ვიცეგუბერნატორი, ვიცეადმირალი, ვიცეკონსული, ვიცეკოროლი, ვიცეპოლკოვნიკი...**

როგორი ვითარება ჩანს ასეთი სახის სხვა რთულ სიტყვებში? ფართოდ გამოიყენება **ინტერნეტ**- სიტყვით მიღებული რთულფუძიანი სიტყვები. მასმედიაში დასტურდება როგორც მათი დეფისიანი, ასევე ცალ-ცალკე დაწერილობის ვარიანტები: „**4G ინტერნეტ მომსახურების** უზრუნველსაყოფად აუქციონი გამოცხადებულია“; „მსოფლიოში არსებობს მრავალი **ინტერნეტ-ტელევიზია**, მათ შორის არის ქართულიც“; „**ინტერნეტ მაღაზია** Be.ge საკუთარ მომხმარებელს მთელ საქართველოში ადგილზე მიტანის სერვისს სთავაზობს“; „საქართველოს ბანკი წარმოგიდგენთ ახალ **ინტერნეტბანკს**“; „ესაა სრულიად ახალი **ინტერნეტ-ბანკი** ბიზნესისთვის“...აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბეჭდურ მედიაში **ინტერნეტ**- სიტყვისგან შედგენილი შედარებით მოკლე სიტყვა ერთად ჩანს გამოყენებული (ინტერნეტბანკი, ინტერნეტმედია, ინტერნეტპაკეტი...), ხოლო თუ კომპოზიტის მეორე ნაწილი უფრო გრძელია, მას დეფისით წერენ (ინტერნეტ-გამოცემა, ინტერნეტ-ქურნალი, ინტერნეტ-პორტალი...). ვფიქრობთ, ისინი ყველანი ერთ ცნებას გამოხატავენ და ამიტომ ერთად უნდა დაიწეროს **ინტერნეტ**- სიტყვით მიღებული ისეთი რთული

ლი სიტყვები, როგორებიცაა: **ინტერნეტგაზეთი, ინტერნეტჟურნალი, ინტერნეტგამოცემა, ინტერნეტპორტალი, ინტერნეტპაკეტი, ინტერნეტბანკი, ინტერნეტმაღაზია, ინტერნეტმომსახურება...** ცხადია, ერთგვაროვნების დაცვა აუცილებელია და არ უნდა განვასხვავოთ, კომპოზიტის მეორე ნაწილი მოკლე თუ გრძელი სიტყვისგანაა შემდგარი. ასევე იქნება **ონლაინ-** სიტყვით მიღებული რთული სიტყვებიც (ისინი ერთად დაიწერება): **ონლაინმაღაზია, ონლაინსესხები, ონლაინრეგისტრაცია, ონლაინკონსულტაცია, ონლაინგანვადება, ონლაინთამაშები...** სწორედ ამგვარივე მიდგომაა ისეთ კომპოზიტებში, როგორებიცაა: **ექსპრეზიდენტი, ექსპრემიერი, ექსმინისტრი.** ლექსიკონებში აღნიშნულია, რომ **ექს-** შერწყმულად იწერება თანამდებობის აღმნიშვნელ საერთაშორისო სიტყვებთან, ხოლო ქართული წარმოშობის სახელებთან იხმარება სიტყვა **ყოფილი** [ჟურნალისტის ლექსიკონი 2002: 65; მოსწავლის ორთ.-სტილ. ლექს. 2011]. ასეთივე დაწერილობა იქნება **ვებ-** (= ქსელური) სიტყვით მიღებულ რთულ სიტყვებთან: **ვებგვერდი, ვებსაიტი, ვებდიზაინი, ვებსტუდია, ვებკამერა.**

მასმედიაში ასევე ხშირად გამოიყენება **პრეს-** სიტყვისაგან შედგენილი რთული სიტყვები: **პრესრელიზი, პრესატაშე, პრესამსახური, პრესცენტრი, პრესკონფერენცია, პრესსპიკერი, პრესმდივანი.** პრესასა და ტელევიზიაში არაერთგვაროვანია მათი დაწერილობა (გვხვდება დეფისიანი, ერთად ან ცალ-ცალკე დაწერილობის ვარიანტებიც). მოყვანილი სიტყვები ერთად, ერთ ცნებადაა მოაზრებული და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ერთ სიტყვად წერია კიდეც. თუმცა პრესაში გვხვდება დეფისიანი ფორმებიც: „კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 25 მედიასაშუალებებისთვის კახეთში **პრეს-ტური** მოაწყო“; „საქართველოში უკრაინელი ჟურნალისტების ერთკვირიანი **პრეს-ტური** იწყება“; „**პრეს-დაიჯესტი** – საქართველოში ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს“. ცხადია, ბოლო დროს გავრცელებული მსგავსი შედგენილობის სიტყვებიც ერთად უნდა დაიწეროს: **პრესტური, პრესნიუსი, პრესდაიჯესტი.**

დღეს ძალიან ხშირად ვხვდებით **მედია-** სიტყვისაგან შემდგარ რთულ სიტყვებს. აქაც დაწერილობის თვალსაზრისით სიჭრელეა – გვხვდება როგორც დეფისიანი, ისე ცალ-ცალკე და ერთად დაწერის შემთხვევები: „აიფიემი **მედია მონიტორინგის** პროდუქტით საქართველოს ბაზარს 1999 წლიდან ამარაგებს“; „**მედია-მონიტორინგის**

ჯგუფმა, რომელსაც პოლონელი აქტივისტი და ჟურნალისტი ადამ მიხნიკი ხელმძღვანელობს, პირველი სატელევიზიო განხილვა დაიწყო“; „ახალი **მედია-ტექნოლოგიები** სწავლისა და სწავლების პროცესშია“; „რუსეთის **მედია-კომპანია** „კომერსანტიში“ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებია“; „გაიხსნა ჟურნალისტიკისა და **მედია მენეჯ-მენტის** კავკასიური სკოლა“. ერთ-ერთი სამაუწყებლო კომპანია თავის სახელს დეფისით იყენებს – **მედია-კავშირი ობიექტივი**. აქაც, რაკი სიტყვა არაა ორცნებიანი და ის აშკარად ერთ სიტყვად მოიაზრება, ამიტომ **მედია-** სიტყვისაგან შემდგარი რთული სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს: **მედიამონიტორინგი, მედიასამართალი, მედიახელოვნება, მედიაკავშირი, მედიასკოლა, მედიაცენტრი, მედიაექსპერტი, მედიასივრცე, მედიაგალერეა, მედიაეთიკა, მედიაორგანიზაცია, მედიამენეჯმენტი, მედიაანალიზი, მედიასემინარი, მედიაპორტალი, მედიაკამპანია, მედიაკომპანიები, მედიატექნოლოგიები, მედიაწრეები, მედიაპოლდინგი...**

ხშირია **ბიზნეს-** სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტები: **ბიზნესცენტრი, ბიზნესფორუმი, ბიზნესგარემო, ბიზნესგეგმა, ბიზნესჯგუფი, ბიზნესსესხი, ბიზნესკურიერი, ბიზნესიდეა, ბიზნესპარტნიორი, ბიზნესსექტორი, ბიზნესსაბჭო, ბიზნესრეგისტრაცია...** „*ბიზნესცენტრი* „კალასი“ წარმოადგენს უნიკალურ, თანამედროვე არქიტექტურის მქონე შენობას“; „პოლონურ-ქართული *ბიზნეს-ცენტრი*. დაგეხმარებით ქართველებს, განავითაროთ საქმიანობა პოლონეთში“; „იმისთვის, რომ წარმატებული *ბიზნეს იდეა* მოიფიქროთ, აუცილებელია განსაზღვროთ მიზანი, რისი მიღწევაც მომავალში გსურთ“; „მოკლევადიანი *ბიზნეს-სესხების* გამოყენება მოსახერხებელია ერთჯერადი ოპერაციების/ინვესტიციების განსახორციელებლად“. ეს სიტყვებიც, ზემოთ მოყვანილ ფორმათა მსგავსად, ერთად დაიწერება, რადგან აქაც ერთი სიტყვა ერთ ცნებად მოიაზრება.

მედიაში მრავლადაა **მეგა-** სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტები. ცნობილია, რომ **მეგა-** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და აღნიშნავს 1. დიდი ზომის; 2. უზარმაზარს (ჭაბაშვილი 1989: 300). აქაც გვხვდება სიტყვის ცალ-ცალკე, ერთად და დეფისიანი დაწერილობანი: „ხვალიდან ყოველ ორშაბათს 22:00 საათზე *მეგა-შოუ* განსხვავებული ფორმატით გავა ეთერში“; ტელეკომპანია „იმედმა“ *მეგა შოუ* „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-5 სეზონი დაიწყო“; „ესაა მეგატექნიკის მაღაზია, სადაც ყველაფრის შეძენას შეძლებთ“.

ვფიქრობთ, ამ ტიპის რთული სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს: **მეგაპროექტი, მეგაგარსკვლავი, მეგაშოუ, მეგატექნიკა, მეგადიზაინერი, მეგატური, მეგაკონკურსი...** ასევე დაიწერება **გალა-** სიტყვისგან ნაწარმოები კომპოზიტებიც: **გალაკონცერტი, გალაგალერეა, გალადაჯილდოება. გალა-** ითქმის დიდ საზეიმო სანახაობისას [ჭაბაშვილი 1989: 96].

ზემოთ მოყვანილი ყველა რთული სიტყვა ერთმნიშვნელობიანია და მათი დაწერილობის საკითხიც აქედან ამოსვლით უნდა განისზღვროს. გარდა ამისა, მოყვანილი შემთხვევები იდენტურია ისეთი ერთცნებიანი კომპოზიტებისა, როგორებიცაა: გულგატეხილი, გუთნისდედა, ქინძისთავი, ავბედითი, გრძელუღვაშა, პირტიტველი... განხილული რთული სიტყვების ერთად დაწერილობით (გარდა **პრემიერ-** სიტვისაგან შემდგარი სიტყვებისა და ორმაგი სახელწოდებების მქონე კომპოზიტებისა) ისინი ერთ ყალიბში მოექცევა და იმ დადგენილ ნორმას დაექვემდებარება, რომლის მიხედვითაც ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი ერთად უნდა დაიწეროს.

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970, თბილისი.

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, 2011, თბილისი.

ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, 2002, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Tea Burchuladze

On Spelling the Compound Words of the Same Type

Summary

The era of new technologies and the introduction of foreign words established a number of compound words in the language. Accordingly, it is necessary to determine the correct spelling of such words. We discuss the composites the first parts of which are the words denoting a certain status and a designation e. g. **premier-viništri** (a prime minister), **premier-liga** (the Premier League), **vice-prezidenți** (a vice president), **vice-premieri** (a vice premier), **vice-kașitani** (a vice captain), **veb-gverdi** (a web page), **veb-saiți** (a web-site), **ințernet-žurnali** (the Internet magazine), **ințernet-gamocema** (the Internet publication), **eks-prezidenți** (an ex-president), **eks-miništri** (an ex-minister)...

These words established with a hyphen. Apparently, the reason was that the first parts of the words in such composites were the words denoting a certain social status or a designation. Therefore, we think that, regardless of having one-notion, only the compound words containing the word **premier-** should be written with a hyphen e. g. **premier-miništri** (a prime minister), **premier-liga** (the Premier League), **premier-klasi** (the Premier Class).

The word **vice-** is often used as a part of a compound word and it does not have an independent meaning. Therefore, we think that it should be written with another part of the compound word without a hyphen or a space e. g. **vicepremieri** (a vice premier), **viceprezidenți** (a vice president), **vicekașitani** (a vice-captain), **vice-tavmždomare** (a vice chairman), **vicemeri** (a vice mayor), **vicekașcleri** (a vice-chancellor), **vicegubernatori** (a vice governor), **viceadmirali** (a vice admiral), **vicekonsuli** (a vice consul), **vicepolkovniki** (a vice colonel)... The same principal should be used with the compound words consisting of the words **eks-**, **ințernet-**, **onlain-**, **pres-**, **media-**, **biznes-** and **mega-**.

So, if we comply the said rules we will have a certain pattern and an established standard.